



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 54

20 19 წ. „20“ 12

ქ. თბილისი

**შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ**

დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს (ს/კ 204909858) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2 100-ით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №26 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი და შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის შესახებ დასკვნა ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე

მარიამ დარბაიძე

მდივანი

ნინო ხოლუაშვილი